„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“
ხელშეკრულება N10

ქ. ზუგდიდი იანვარი 2021 წ

ერთი მხრივ, შპს ,,კურაციო ზ“ ს/კ 219993657, ისამართი ზუგდიდი ზ. გამსახურდიას N 39, მისი წარმომადგენელი სამედიცინო მენეჯერი ზაზა დგებუაძის სახით (შემდგომში „შემსრულებელი“) და მეორე მხრივ შპს აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ჯვარის ამბულატორია , ს/კ 242739961: , იურიდიული მისამართი: საქართველო, წალენჯიხა, ქ. ჯვარი, საალიძის ქუჩა 1 , წარმოდგენილი მისი დირექტორი, გოჩა ლიპარტია სახით, (შემდგომში „დამკვეთი“),სახელმწიფო შესყიდვების კანონის საფუძველზე ვთანხმდებით და ვაფორმებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

1.1. დამკვეთი საჭიროების შემთხვევაში უკვეთავს შემსრულებელს სამედიცინო მომსახურებას **CPV კოდი 85100000**, კერძოდ ოფთალმოლოგის, გინეკოლოგის და საჭიროებისამებრ სხვა პროგრამულ კონსულტაციებს, ინსტრუმენტულ კვლევებს, კერძოდ ექოსკოპიური და რენტგენოლოგიური კვლევები, დამკვეთთან დარეგისტრირებული ბენეფიციართათვის საყოველთაო ჯანდაცვისა და სოფლის ექიმის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში წელიწადში **2500 (ორიათასხუთასი) ლარ**ის ღირებულების. ხოლო შემსრულებელი აწარმოებს მომსახურებას შესაბამისი ანაზრაურების სანაცვლოდ, თავის კლინიკაში დადგენილი სტანდარტების შესაბამისად (იხ. დანართი) ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს სამედიცინო საქმიანობის დროული და ოპერატიული განხორციელება.

მუხლი 2. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

2.1. დამკვეთს უფლება აქვს:
2.1.1. მოსთხოვოს შემსრულებელს ვალდებულების შესრულება.
2.1.2.მიიღოს სრული ანგარიში შემსრულებლის მიერ გაწეული მომსახურების თაობაზე.
2.1.3.ნებისმიერ დროს შეამოწმოს შემსრულებლის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მსვლელობა და ხარისხი, შემსრულებლის საქმიანობაში ჩარევის გარეშე.
2.2. დამკვეთი ვალდებულია:
2.2.1. უზრუნველყოს შემსრულებლისთვის გაწეული მომსახურების სრული და დროული ანაზღაურება.
2.2.2. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
2.3. შემსრულებელს უფლება აქვს:
2.3.1.მოსთხოვოს დამკვეთს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საზღაურის გადახდა.
2.3.2.მიიღოს შემკვეთისაგან ყველა ის ინფორმაცია, რაც აუცილებელი იქნება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ვალდებულების შესასრულებლად.
2.4. შემსრულებელი ვალდებულია:
2.4.1. დამკვეთის პაციენტს გაუწიოს კვალიფიციური, დროული და ხარისხიანი სამედიცინო მომსახურება.
2.4.2. უზრუნველყოს დამკვეთისათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება.
2.4.3. პირნათლად, ხარისხიანად და კეთილსინდისიერად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

მუხლი 3. მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

3.1. შესრულებული სამუშაოს ანაზრაურება დამკვეთის მიერ მოხდება თვეში ერთხელ შემსრულებლის მიერ დამკვეთისათვის შესაბამისი დოკუმენტის წარდგენის საფუძველზე.
3.2. ანგარიშსწორება ხდება შესაბამისი დოკუმენტის წარდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1. მომსახურების გაწევის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით; ხელშეკრულება მოქმედების ვადა 2022 წლის 31 იანვრის ჩათვლით.
4.2. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა შესაძლებელია:
4.2.1. ერთ- ერთი მხარის ლიკვიდაციის შემთხვევაში;
4.2.2. მხარეთა ურთიერთშეთანხმებით
4.2.3. ერთ-ერთი მხარის სურვილით, რის შესახებაც მეორე მხარეს წერილობით უნდა ეცნობოს 3 (სამი თვით ადრე.
4.2.4. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე არცერთი მხარე არ გამოხატავს სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების სურვილს, ხელშეკრულება ითვლება გაგრძელებულად ყოველი შემდეგი ერთწლიანი პერიოდითა და იგივე პირობებით.

მუხლი 5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. მხარეებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ზიანზე, რომელიც მათ მიადგებათ წინამდებარე ხელშეკრულებით ან კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის, შეუსრულებლობის ან არაჯეროვანიშესრულების შედეგად.
5.2. შემსრულებელს ეკისრება პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების პროცესში მის მიერ, დამკვეთის პაციენტისათვის მიყენებულ ზიანზე.

მუხლი 6. ფორს-მაჟორი

6.1 იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება ისეთ მოვლენას, რომელიც მხარეთა კონტროლს არ ექვემდებარება და ხელს შეუშლის მხარეებს თავიანთი უფლებებისა და ვალდებულებების განხორციელებაში, კერძოდ სტიქიური უბედურება, სამოქალაქო ომი, ნებისმიერი ხასიათის სამხედრო ოპერაცია, ბლოკადა, გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობა და სხვა. (ე.წ. ფორს-მაჟროი) წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესრულება გადაიდება აღნიშნული მოვლენების შეწყვეტამდე.
6.2 ფორსმაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში, მხარემ რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყონებლივ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს ასეთი გარემოების, მისი გამომწვევი მიზეზებისა და შეწყვეტის შესახებ შესახებ.
6.3 თუ ფორს-მაჟორული მდგომარეობა გაგრძელდება 3 თვეზე მეტ ხანს თითოეულ მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, რის გამოც მათ არ დაეკისრებათ ხელშეკრულების შეწყვეტისატვის რაიმე სახის ზიანი ანაზღაურება.

მუხლი 7. დავა მხარეთა შორის

7.1. დავა მხარეთა შორის წყდება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
7.2. შეუთანხმებლობის შემთხვევაში ორივე მხარე უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს.
7.3. დავის სასამართლოში წარმართვის შემთხვევაში, დავის განხილვა მოხდება „შემსრულებლის“ ადგილსამყოფელის მიხედვით არსებულ სასამართლოში. 7.4.წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მხარეები შეთანხმდნენ, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268–ე მუხლის 1^1 ნაწილის შესაბამისად, ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავასთან დაკავშირებით „შემსრულებლის“ სასარგებლოდ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეულ იქნეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

მუხლი 8. სხვა პირობები

8.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი გადაეცემა ხელშეკრულების მონაწილე თითოეულ მხარეს. ორივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.
8.2. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი შესრულებულია წერილობითი ფორმით და ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ.
8.3. შემთხვევაში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით, მხარეები იხელმძღვანელებენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებით.

მუხლი 9. ცნობა ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების შესახებ

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი საქონლის/მომსახურების შესყიდვის მიზნით გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად ერთმანეთთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებთ,

მუხლი 10. მხარეთა რეკვიზიტები

<u>შემსრულებელი</u>
შპს „კურაციო ზ“
მის: ზუგდიდი, ზ. გამსახურდიას N 39;
ს/კ: 219993657
ტელ: 557947403
ელ. ფოსტა:
ს/ს თიბისი
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიშის N: GE21TB 7620 3360 2010 0003

სამედიცინო მენეჯერი

ზაზა დგებუაძე

Zaza Dgebuadze

Подписано цифровой подписью: Zaza Dgebuadze
DN: cn=Zaza Dgebuadze, serialNumber=19001002317, o=Citizen, c=GE
Дата: 2021.01.30 10:12:19 +04'00'

<u>დამკვეთი</u>
შპს აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ჯვარის ამბულატორია
იურიდიული მის: საქართველო, წალენჯიხა, ქ. ჯვარი, საალიძის ქუჩა 1
ს/კ: 242739961
ტელ: 591018236
ელ. ფოსტა: gochalipartia@gmail.com
ს/ს: ლიბერთი ბანკი
ბანკის კოდი: LBRTGE22
ანგარიშის N: GB51LB0113179330136000

დირექტორი

გოჩა ლიპარტია

Abkhazia Refugees Jvari Out-patient Clinic,LTD

Подписано цифровой подписью: Abkhazia Refugees Jvari Out-patient Clinic,LTD
Дата: 2021.01.29 17:10:54 +04'00'